



10701/4-15/21 2 28102021

10701/4-15/21
28-10-2021

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა,

როგორც ჩვენთვის ცნობილია, 2015 წლიდან, სამინისტრო ქვეყნის მასშტაბით არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შესწავლისა და აღრიცხვის მიზნით ატარებს სხვადასხვა ღონისძიებას. სამინისტროს ვებგვერდზე sport.gov.ge გამოქვეყნებული ინფორმაციით, ორგანიზაცია „გეოგრაფიკთან“ ერთად შეიქმნა ვებ-აპლიკაცია, რომელშიც სისტემატიზებული და ხელმისაწვდომია მონაცემები 550-მდე სპორტული ობიექტის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, მოგმართავთ კითხვით და გთხოვთ, მოგვაწოდოთ ვებგვერდზე sport.gov.ge განთავსებული სპორტული ობიექტების შესახებ **საინფორმაციო-ელექტრონული პორტალთან <http://92.241.91.218/sport>** დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია (2021 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით):

- ა) რამდენად გამართულად მუშაობს პორტალი? ხარვეზების შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ ხარვეზების/შეფერხებების ხასიათი და მოგვაწოდოთ ინფორმაცია მათი აღმოფხვრის მიზნით, სამინისტროს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და ვადებთან დაკავშირებით;
- ბ) პორტალის მიზნებისთვის, როგორ განიმარტება ტერმინი „სპორტული ობიექტი“ და რა ტიპის სპორტული ობიექტების შესახებ ხდება ინფორმაციის შეგროვება?
- გ) რა ტიპის მონაცემებისა და ინფორმაციის (კატეგორიები) შეგროვება და გამოქვეყნება ხდება პორტალზე?
- დ) როგორია მონაცემების შეგროვების და აღრიცხვის მეთოდოლოგია? რომელი ორგანიზაციები/უწყებები არიან ჩართული ამ პროცესში და რა არის მათი როლი?
- ე) რა პერიოდულობით ხდება არსებული მონაცემების განახლება და ახალი ინფორმაციის შეგროვება?
- ვ) საქართველოში მოქმედი სპორტული ობიექტების საერთო რაოდენობიდან, პროცენტულად, რამდენი ობიექტის მონაცემებია შეგროვებული?
- ზ) იგეგმება თუ არა პორტალის შემდგომი განვითარება? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ გვაცნობოთ შესაბამისი ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ ყაველაშვილი



№ 00032509



11/11/2021

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა
კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ მიხეილ ყაველაშვილს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, წარმოგიდგინებ პასუხს თქვენი წერილით (№10701/4-15/21, 28/10/2021) დასმულ კითხვებზე, ვებ-გვერდზე - sport.gov.ge განთავსებული სპორტული ობიექტების ბაზასთან დაკავშირებით, კერძოდ:

ა) პორტალის ტექნიკურ ადმინისტრირებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო, რომელიც პერიოდულად უზრუნველყოფს ვებ-გვერდს გადატვირთვასა და ტექნიკური სამუშაოების ჩატარებას. აქვე, გაცნობებთ რომ დღეის მდგომარეობით, პორტალი მუშაობს გამართულად.

ბ) პორტალის მიზნებისათვის, სპორტული ობიექტი არის ყველა სპორტული ბაზა, რომელიც განიმარტება „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად და რომელიც მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული მოიცავს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის, სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის განკუთვნილ სპორტული პროფილის ინფრასტრუქტურას, მიუხედავად მესაკუთრისა. შესაბამისად, ყველა ამ ტიპის სპორტული ობიექტი აღირიცხება პორტალზე ეტაპობრივად განახლებად რეჟიმში.

გ) პორტალზე ხდება სპორტული ობიექტების შემდეგი ინფრასტრუქტურული მახასიათებლების, მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება: სახელწოდება; მუნიციპალიტეტი; სოფელი/დაბა/ქალაქი; მისამართი; საკადასტრო კოდი; მესაკუთრე; ტიპი (ღია/დახურული); ფუნქცია (სპორტული სახეობა/სახეობები); საერთო მდგომარეობა; საკონტაქტო ინფორმაცია; სპორტული დარბაზები; გასახდელეების, სველი წერტილების, სამსაჯო, სამედიცინო, ადმინისტრაციული ოთახების, კომენტატორის კაბინის არსებობის შესახებ ინფორმაცია; მაყურებლისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა (ტრიბუნები, სველი წერტილები, ვიპ-ლოჟა, კვების ობიექტი); ობიექტზე არსებული კომუნიკაციები და სხვ. აქვე,

დაზუსტების მიზნით, გაცნობებთ, რომ მესაკუთრის ველში ასახული ინფორმაცია მიბმული არ არის უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებთან და ამდენად არ ახლდება ავტომატურად.

დ) სპორტულ ობიექტები აღიწერება შესაბამისი პასპორტის მეშვეობით, რომელშიც აღიწერება ყველა ტექნიკური დეტალი ობიექტის შესახებ. აღნიშნული კითხვარი ივსება სამინისტროს მობილური ჯგუფების მიერ, ასევე, სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, კითხვარის შევსებას უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სპორტული ორგანიზაციები.

ე) მონაცემთა განახლება და ახალი ინფორმაციის შეგროვება წარმოებს ყოველდღიურ რეჟიმში.

ვ) საქართველოში მოქმედი სპორტული ობიექტების საერთო რაოდენობიდან პოტენციურად შეგროვებულია 80%.

ზ) სამინისტრო პროექტის პარტნიორ ორგანიზაცია „გეოგრაფიკთან“ ერთად, განიხილავს პორტალის გაუმჯობესების საკითხს იმგვარად, რომ სისტემურად აღმოიფხვრას ვებ-გვერდზე პერიოდულად წარმოშობილი ტექნიკური პრობლემები, ამასთან, ვებ-გვერდს გააჩნდეს სამართავი პანელი, რის შედეგადაც, შესაძლებელი გახდება პორტალზე მონაცემთა უწყვეტ რეჟიმში განთავსება.

პატივისცემით,

საქართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
გიორგაძე სოსო

